ჩემი ქობულეთი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

www.adjaraps.com

№25 (148), 25/10-1/11 2011 წელი | გამოწერის მეხუთე წელი | ფასი 40 თეთრი

საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა!..

ქართველი აზდარის სიკვდილი

მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის ფოტოქრონიკა

საქართველო გულისტკივილით გამოეთხოვა თანამედროვეობის გამოჩენილ ქართველ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს.

რამაზის თეატრალური და კინოროლები სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს ეროვნული კულტურის ოქროს ფონდში. მისი მაღალი ნიჭიერებით აღბეჭდილი სახეები ხალხმა შეიყვარა და საყვარელი მსახიობი ქართული კულტურის კორიფეების გვერდით სიცოცხლეშივე დააყენა.

ათწლეულების მანძილზე იღვაწა რუსთაველის თეატრში და ლომის წილი მიუძღვის საერთაშორისო ავტორიტეტისა და მსოფლიოში სახელდებულ თეატრებს შორის მაღალი რეიტინგის მოპოვებაში. იგი სულით და ხორცით ქართველი მსახიობი იყო და თავის ხიბლს ჰმატებდა ეროვნულ ცნობიერებას. ის იყო დიდოსტატი, ის იყო მსახიობი, რომელიც ამაღლებდა და სამშობლოს სიყვარულით აღანთებდა ჩვენს სულებს.

რამაზ ჩხიკვაძემ მოიხსნა თეატრალური ნიღაბი და თავაწეულმა უკანასკნელი ნაბიჯი უკვდავებაში გადადგა.

მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის არქივებს შემორჩა რამაზ ჩხიკვაძის მეტად საინტერესო ინტერვიუ, რომელიც 2007 წელს ქობულეთში, ბიზნესმენ თემურ ჭყონიას სახლში ჩავწერეთ, ჩვენს რედაქციებს კი ამშვენებს დიდ ხელოვანთან გადაღებული აწ უკვე უნიკალური ფოტოები. ხსენებულ ინტერვიუს რამაზ ჩხიკვაძესთან „ჩემი ქობულეთი" გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ბიძინა ივანიშვილის ახალი განცხადებები

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან, რომელიც ამ დღეებში მან ჟურნალისტ ია ანთაძეს მისცა და ინტერნეტსაიტ „ტრიბუნა. ge"-ზე გამოქვეყნდა.

- ამ ხელისუფლებაში მენეჯმენტი საერთოდ არ იციან. სტუქტურები არსებობს, ხელფასებს არიგებენ, მაგრამ გადაწყვეტილებას სამი კაცი იღებს კაბინეტში. სამ კაცს უნდა, რომ ქვეყანა მართოს. ქვეყანა კი არა, პატარა საწარმო არ შეიძლება ასე იმართებოდეს. მათ რომ გადანაწილებული ჰქონდეთ ფუნქციები სამინისტროებზე, ასეთ უმეცრებას არ ჩაიდენდნენ. ისიც კი ვერ გათვალეს, რომ თუ ჩემს შემთხვევაში რაღაც მოსადავებელი კიდევ იყო, ჩემი მეუღლის მოქალაქეობასთან დაკავშირებით შეკითხვაც არ შეიძლება დაისვას.

- მათ უნდათ მთელ ქვეყანას შავი ფარდა გადააფარონ; შუქი სადაც აღწევს და ვინც რაღაცას ხედავს, ისინი დააშინონ; მეორე ნაწილი კი სიცრუის მანქანით მოატყუონ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მესროლონ, ამას ვაცნობიერებ და ფრთხილად ვარ.

- ძალიან არ მომწონს მათი არასწორი ნაბიჯები და ყველანაირად ვცდილობ, რომ აქ კადაფიზაცია არ დაიწყოს. ჩემი მთავარი მიზანია, რომ ესენი როგორმე შევაჩეროთ, როგორმე კანონიერების ფარგლებში დავაბრუნოთ. ამიტომ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ შიდა ტემპერატურა დავწიო, რათა არ მოხდეს დაპირისპირება. ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც ამათ აწყობთ. არ უნდა ვითამაშოთ მათი თამაში. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ.

- ვინც წარმატებას მიაღწია - და მე არ ვიქნები გამონაკლისი, ის ყოველთვის მაქსიმალურ ოპონირებას მოითხოვს, რათა შეცდომა არ დაუშვას. თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, აუცილებლად უნდა დაეყრდნო ლიბერალიზმსა და დემოკრატიას.

ჰილჰილმოყრილი მადლი სათნოების სასადილოში?!.

ქვეყანა რომ კარგ დღეში ვერ არის, ამის დასტური მოსახლეობის ის გაღატაკებული ფენაა, რომელმაც ყოველგვარ სიამაყეს გადააბიჯა და სულის შესანარჩუნებლად ხელისუფლების მიერ გახსნილ სათნოების სასადილოებს მიაკითხა.

ცხოვრება დღითიდღე ძვირდება და რთულდება, ასეთი ობიექტების „კლიენტურაც" კლების ნაცვლად სულ უფრო მატულობს, ჩვენ კი იმითაც მადლიერნი ვართ, რომ მათთვის ვიღაც ზრუნავს...

ის, რაზეც ახლა ჩვენი გაზეთის მკითხველს გვსურს ვუამბოთ, რედაქციისა და პროექტ „ხანდაზმულთა საკონსულტაციო ცენტრის" მესვეურ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ხანდაზმულ ქალთა ასოციაციის აწმყო და მომავალი...

ახალგაზრდობაში იშვიათად დავფიქრებულვართ რა გველოდება 50-60 წლის შემდეგ... ძნელი წარმოსადგენია ჩვენი თავი ნაოჭებიანი, ჭაღარა მოხუცის ამპლუაში, როცა სხვისი დახმარების გარეშე ვერ იცხოვრებ. კარგია, თუ გყავს ნათესავები, მაგრამ როცა არ გყავს, როცა მიტოვებული და დავიწყებული ხარ ახლობლების მიერ?

მარტოხელა მოხუცები, შეიძლება ითქვას, საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის წინაშე დგანან. გარიყულობა გულისხმობს არა მხოლოდ უქონლობას, არამედ პრობლემებს სოციალურ ურთიერთობებში, მათდამი უპატივცემულობის ჩათვლით,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ქობულეთის ტაძრების ისტორიის შესახებ ვებ-გვერდი ექნება

„ქობულეთის სამება" - ასე ეწოდა პროექტს, რომლის პრეზენტაცია ჩვენს ქალაქში 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის იგეგმება. ინიციატივა მართლაც მასშტაბურია და საყურადღებო იმ თვალსაზრისით, რომ ქობულეთს ტაძრების ისტორიის შესახებ პირველი ვებ-გვერდი ექნება, სადაც მკითხველი უაღრესად საინტერესო თემებსა და საკითხებზე მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას. ჩვენ ინიციატივის ავტორს, არჩილ კაიკაციშვილს თბილისში დავუკავშირდით და ამ საინტერესო პროექტთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ხელოვნების ჯიდევ ერთი ზეიმი „ჩემი ქობულეთისაგან"

ორი დღის განმავლობაში, 21-22 ოქტომბერს, მედიაჯგუფი „აჭარა P.S." ხელოვნების მერვე საერთაშორისო ფესტივალის სატელევიზიო კონკურსს „შემოდგომის ჰარმონიას" მასპინძლობდა.

კონკურსი, რომლის ვიდეოჩანაწერი მალე ჩვენს ვებ-გვერდზე აიტვირთება, მიზნად მსოფლიოს ხალხთა კულტურის გაცნობას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმობნეული ხალხური კულტურის მარგალიტების შეკრება - წარმოჩინებას, გამოცდილებათა გაზიარებას, პატარებსა და მოზარდებში ხელოვნების სიყვარულის გაღვივებას ისახავდა. ჩვენი მიზანი გახლდათ ასევე ქობულეთის, როგორც კურორტ ქალაქის გაცნობა და პოპულარიზაცია, მედიაჯგუფი „აჭარა P.S."- ის გამოცემებისა და ინტერნეტსაიტის პრომო აქცია.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

ჩ ე მ ი ქ ო ბ უ ლ ე თ ი ს

www.adjaraps.com

№25 (148) 2011 წლის 25 ოქტომბერი - 1 ნოემბერი

ჰილჰილმოყრილი მადლი სათნოების სასადილოში

(პირველი გვერდიდან)

თა დიდი ხნის მსჯელობის საკითხია, ბევრი ვიფიქრეთ, გამოგვეტანა თუ არა ფაქტები საზოგადოების სამსჯავროზე და ჩავთვალეთ, რომ სწორედ ახლაა ის დრო, როცა თქმა სჯობს...

მე, როგორც გაზეთ „ჩემი ქობულეთის“ გამომცემელს და ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერეს“ მიერ განხორციელებული პროექტის „ხანდაზმულთა საკონსულტაციო ცენტრის“ ექსპერტს, არაერთი ადამიანი მომმართავს ქობულეთის სათნოების სასადილოში შექმნილი აუტანელი სიტუაციის გამო.

ცოდვა გამხელილი სჯობს და რატომღაც საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი „უფასოდ კარგს არავინ არაფერს გაჭმევს“, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია, მეც ამეკვიატა და სათნოების სასადილოდან წამოსული პრეტენზიები არასერიოზულად მიმაჩნდა, მაგრამ როცა საჩივრების ნაკადი გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა და ფაქტების გადამოწმება ვცადე, აღმოჩნდა, რომ არც მთლად ასე ყოფილა საქმე... ამ ხალხს დასამადლებელი არაფერი აქვთ, რადგან ხელისუფლება მათთვის საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავს ბიუჯეტიდან, ე.ი. ჩვენი ჯიბიდან(?!), მეორე საკითხია, ვის ჯიბეში მიჩხრიალებს საწყალი და გაჭირვებული ადამიანების სულის ჩასაბრუნებელი ათასები?! თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით.

წერილის მომზადებამდე ქობულეთის სათნოების სასადილოს პირადად ვეწვიე, იქ ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელ ფერებში მოსჩანს, მოდიან უმწეო ადამიანები, ზოგი ადგილზე იკვებება, ზოგს კი სადილი ოჯახში მიაქვს, უცხო სტუმრის დანახვისას პერსონალიც ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხდება, მაგრამ აქ არც ისე კარგად ყოფილა საქმე, როგორც ერთი შეხედვით მოსჩანს.

აი, რას უჩივიან სათნოების სასადილოზე დამოკიდებული ბენეფიციარები:

- ძალიან უხარისხო საჭმელია, ერთხელაც რომ გასინჯოთ, თავადაც მიხვდებით რას ვჭამთ, ზოგჯერ ასეთ საჭმელს ძაღლი და კატაც კი არ გაეკარება.

- მოსამსახურე პერსონალი უსულგულო და აგრესიულია ჩვენს მიმართ, პრეტენზიას როგორ გაბედავ, იმ წუთსავე გაგისტუმრებენ - თუ არ მოგწონს, ნუ ჭამ, წადი!

ხშირად საჭმელში უცხო საგნებსაც ვპოულობთ, ერთმა ქალბატონმა კერძში ჭურჭლის სახეხის მავთული იპოვა, იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოეხადათ, ასე მიუგეს - არა უშავს, თქვენი კუჭი აიტანს...

- სასადილოს ხშირად სტუმრობს გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი დალი გირითილაძე, ამ ქალბატონისგან ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია და მისი მადლიერები ვართ, მაგრამ სასადილოში მას ყველაფერს იდეალურ ფერებში აჩვენებენ, ჩვენ რომ გვეკითხება როგორი კვებაა, სიმართლეს ვერ ვეუბნებით, რადგან გვეშინია, რაც გვაქვს, ისიც არ დაგკარგოთ... პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევაში პერსონალი სასადილოდან გაგდებით გვემუქრება, თანაც გვეშინია, რაიმე რომ ვთქვათ, იმათი ნათესავები ქუჩაში არ დაგვხვდნენ და მარტოხელა მოხუცებს ფიზიკურად არ გაგვისწორდნენ... პრაქტიკულად პატიმრების ფორმაში ვართ, ისინი ხომ ოთხ კედელში ვერაფრის თქმას ვერ ბედავენ...

ეს ჩანაწერები დღემდე ჩემი უბის წიგნაკიდან მზის სინათლეს ელოდა, ამასთან არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ სასადილოში ბენეფიციარებისთვის მიტანილი ხარისხიანი პროდუქტი „გვერდზე“ მიდის და კერძები იყიდება, რადგან ბენეფიციარების თქმით, აქ ხშირად ხედავენ სადილზე მოსულ სახანძრო და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს?!

ფაქტების გადამოწმების მიზნით, როგორც ზემოთ უკვე გითხარით, ჩემს კოლეგა ნუგზარ ჟორადნიასთან (ისიც პროექტ „ხანდაზმულთა საკონსულტაციო ცენტრის“ წარმომადგენელია) ერთად პირადად ვეწვიე ობიექტს, პირველ რიგში ხელმძღვანელობა მოვიკითხე, როგორც პერსონალმა მითხრა, დირექტორი ბათუმელია და მას იშვიათად ხედავენ, თანამშრომელთა შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ „ბოსის“ ტელეფონის ნომერი სცოდნოდა, არადა, ობიექტურობა მავალებდა მასთან გასაუბრებას. როცა მივხვდი, რომ „შეფთან“ შეხვედრის ყველა გზა მომიჭრეს, თანამშრომლებს ჩემი მობილურ ტელეფონის ნომერი დავუტოვე და ვთხოვე, როგორც კი გამოჩნდება, აუცილებლად გადაეცით საქმე მაქვს და იქნებ თვითონ დამიკავშირდეს - მეთქი... მას შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა, სათნოების სასადილოს ხელმძღვანელობისაგან კი არაფერი ისმის... აქ „ლირიული“ გადახვევისთვის ვიტყვით „ვაი“, თუ შეფი ჟურნალისტებს დაეძალა (ეს იმას ნიშნავს, რომ სიმართლეს გაურბის და ხვდება, უხერხულ კითხვებზე მოუწევს პასუხების გაცემა) და „ვუი“ - თუ იგი მას შემდეგ ობიექტზე არ ყოფილა და ჩვენი იქ სტუმრობის შესახებ ჯერაც არაფერი გაუგია...

და მაინც, ვინ არის ეს „შეფი,“ რომლის შესახებ სასადილოს თანამშრომლებმა ან არაფერი იციან, ან ისეა გასაიდუმლოებული, რომ ამ „სახელმწიფო საიდუმლოს“ გაცემის უფლება ჩამორთმეული აქვთ.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურში აგვიხსნეს, აღნიშნული სასადილო ქობულეთის მუნიციპალური ბიუჯეტიდან წლიურად 153 ათასი ლარით ფინანსდება. სასადილოს მომსახურებას ტენდერში გამარჯვებული შპს „გრილაითი“ ახორციელებს, რომლის დირექტორი ჩვენს მიერ წერილში არაერთხელ ხსენებული „საიდუმლო შეფი“ ვინმე ამირან სიხარულიძე გახლავთ.

ჰოდა, ბატონი ამირანი, რომელსაც ყოველდღიურად სასადილოს 230 ბენეფიციარზე თითოეულის დღიური კვებისა და მომსახურებისთვის 2 ლარი და 12 თეთრი ერიცხება, ანუ ყოველდღიურად 487,37 ლარი, საინტერესოა, სად ხარჯავს ამ ფულს, თუ კი თავის ბენეფიციარებს ისეთ საკვებს აწვდის, ძაღლი და კატაც რომ არ შეჭამს?!

დარწმუნებული ვართ, რომ წერილის სამზეოზე გამოსვლის შემდეგ გამგეობის შესაბამისი სამსახურები სათნოების სასადილოში შექმნილი სიტუაციით დაინტერესდებიან და ყველა პრობლემა ბენეფიციართა სასარგებლოდ გადაწყდება, წარმოვიდგინოთ, ერთ დღეს ქობულეთში ხშირადმყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა სათნოების სასადილოს რომ მიაკითხოს და აქაურ კერძს გემო გაუსინჯოს, რა დღეში აღმოჩნდება მთელი მუნიციპალიტეტი...

ისე, ეს ვაიტენდერები რომ არა, დიდი არითმეტიკა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ამდენი „მუქთამჭამელის“ გარეშე ბენეფიციარები გაცილებით ნოყიერ და ხარისხიან კერძებს მიირთმევენ, თუმცა კანონი კანონია და პირველ რიგში ბატონი ამირანი უნდა უწყოდეს, რომ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს... და თუ გაჭირვებული ხალხის ცოდვით ღვთის რისხვას გადაურჩა, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მართლმსაჯულების წინაშე მოუხდეს პასუხისგება.

ჯემალ მეგრელიძე

შეხვედრა საარჩევნო კომისიაში

6 ოქტომბერს, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოცდამეცხრამეტე უბანში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მიზეზად საოლქო საარჩევნი კომიტეტსა და რეგიონულ მედიას შორის კომუნიკაციის პრობლემა დასახელდა. ცესკოს წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და ახალი მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბებაზე ესაუბრეს. შეხვედრაზევე დაისახა 2011-2015 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაციის მისია, ხედვა, მოქმედების პრინციპები და სტრატეგიული მიზნებია განსაზღვრული.

ტრენინგის გამართვის მიზანი მედიის წარმომადგენელთათვის საარჩევნო ადმინისტრაციის სამომავლო გეგმის გაცნობა იყო, რადგან დაინტერესებულ მხარეებთან პრაქტიკული თანამშრომლობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაცია ინფორმაციის გენერირებასა და მხარეებისათვის დაუყოვნებლივ მიწოდებას უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომუნიკაციების კონსულტანტის ნიკოლოზ პროსპასევდოვის განცხადებით, ამ ხასიათის ტრენინგები ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციასა და მედიას შორის კომუნიკაციების გამყარებას, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

შეხვედრის მსვლელობისას, არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, ამომრჩეველთა ინფორმაციის დონეზე კომენტარი გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა და რეგიონულ მედიასთან ურთიერთობის საკითხში კონსულტანტმა თამარ მჭედლიშვილმა. მოგვიანებით კი მან არჩევნების მიმდინარეობის პროცესში მედიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ქალბატონი თამარის განცხადებით, არჩევნების საკითხში გათვითცნობიერებული ჟურნალისტი ნიშნავს ინფორმირებულ ამომრჩველს. ყოველივე ეს კი დემოკრატიული არჩევნების წინაპირობაა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ გეგმავს ამ სახის ტრენინგების ჩატარებას მედიასაშუალებებთან და იმედოვნებს, რომ ეს სიახლე ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასა და საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას.

მარიკა დუმბაძე

ხურმა ექსპორტზე

მალე ექსპორტზე მანდარინთან ერთად კიდევ ერთი ქართული ხილით, სუბტროპიკული ხურმით დატვირთული ბორნები გავა. უკვე წლებია ადგილობრივი ბიზნესმენები უკრაინისა და ბელორუსის ბაზარს რეგიონში მოწეული ხურმით ამარაგებენ. ამ ეტაპზე 1400 ტონა ხურმა უკვე გატანილია.

ქობულეთს ტაძრების ისტორიის შესახებ ვებ-გვერდი ექნება

(პირველი გვერდიდან)

- ბატონო არჩილ, რას ნიშნავს „ქობულეთის სამება" და როგორ გაჩნდა პროექტის იდეა?

- ინიციატივა სპონტანურად არ გაჩენილა. ქვედა სამებაში დავიბადე და აქვე დავამთავრე სკოლაც. ეჭვგარეშეა, რომ სოფელ სამებას ეს სახელი ეკლესიის სახელწოდების გავლენით დაერქვა, ასეთი ეკლესიები კი ორგან - ზედა და ქვედა სამებაში გვხვდება, რომელიც წმიდა სამების სახელობისაა. საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის განვითარების კანონზომიერების თანახმად ეკლესია-მონასტრები შენდებოდა იქ, სადაც მოსახლეობა მჭიდროდ იყო დასახლებული, რათა ხალხს რწმენისა და აღმსარებლობის გამოსახატავად სალოცავი ჰქონოდა. სავარაუდოა, რომ ასევე მოხდა სოფელ სამების შემთხვევაშიც. საზოგადოებაში ძალიან მწირი ცნობები არსებობს, როგორც ზედა, ასევე ქვედა სამების ეკლესიების ისტორიის შესახებ. მხოლოდ 2001-2002 წლებში უშუალოდ დავამუშავე სამების ეკლესიათა ისტორიები. ქვედა სამების ეკლესიის ისტორიამ ჩვენი პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიგელი დაიმსახურა, ზედა სამების ეკლესიის ისტორიამ კი საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და აჭარის განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომები. მოგვიანებით, ტაძრის ისტორიები დაიბეჭდა რამდენიმე ცენტრალურ გაზეთში. თუკი ზედა სამებაში დღევანდელი ტაძარი სწორედ იმ ადგილას აიგო, სადაც გადმოცემით უნდა ყოფილიყო პირველი ტაძარი ქვედა სამებაში, ყველას სასიხარულოდ, დღემდე შემორჩენილი გვაქვს ნაეკლესიარი და ძველი ტაძრის ერთი მხარე. შესაბამისად, მაშინ სკოლის და სოფლის ასეთმა წარმატებულმა სახელმა ახალი მოტივაცია შეგვძინა. აქტიურად დავიწყეთ ქვედა სამების ნაეკლესიარისთვის ყურადღების მიქცევა და კიდევ უფრო მეტად წარმოჩნდა სოფელში ეკლესიის არსებობის საჭიროება. 2002 წელს ქვედა სამების სკოლის 80 წლის იუბილესთან ერთად, სკოლაში დაფუძნდა წმიდა სამების სახელობის სამლოცველო (არ შემიძლია, ამ საქმეში არ გავიხსენო ქალბატონების ია თამაზაშვილისა და ეთერ ნაკაიძის დამსახურებები) და წარმოიდგინეთ, საუკუნეების შემდეგ, ამ წმიდა ადგილას პირველად შესრულდა ქრისტიანული წირვა-ლოცვა. ეს სამლოცველო დღემდე მოქმედებს, მაშინ კი სიმბოლური გააზრებით, სოფელში გაჩნდა პირველი წმიდა ადგილი, მას შემდეგ, რაც ქვედა და ზედა სამების ეკლესიებმა არსებობა შეწყვიტეს. მოგვიანებით, როდესაც რამდენიმე გვარის წარმომადგენელმა აქტიურად გადადგა ნაბიჯები ქვედა სამებაში ეკლესიის მშენებლობისკენ, მე ვიყავი ამ პროცესის მხარდამჭერი და მონაწილე. ჩემი აზრით დღეს ამ საქმეს სხვანაირი იდეური მხარდაჭერა, მაშტაბი და დამოკიდებულება სჭირდება.

- რას გულისხმობთ?

- თანამედროვე საქართველოში ცოტაა ეკლესია-მონასტერი, რომელიც წმიდა სამების სახელს ატარებს. ცნობილია სულ სამი სოფელი - სამება. ქრისტიანული გააზრებით ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა დოგმატურ მოძღვრებას გააჩნია. ამ თვალსაზრისით ქობულეთს აქვს თავისი სამება - ქობულეთის სამება მხარის სულიერებისა და კულტურული განვითარების მთავარ ნიშანსვეტად უნდა მივიჩნიოთ. მას აქვს წარსული და ღირსეული მომავალი. ქობულეთს თამამად შეუძლია იამაყოს საკუთარი წინარექრისტიანული, ქრისტიანული, შემდგომი დროის სულიერი და კულტურული ცხოვრებით, თანამედროვე ეკლესია-მონასტრების არსებობითა და განვითარებით, თუმცა ქობულეთის სამება დღეს უნდა გახდეს ამ მხარის ახალი სულიერი და კულტურული ცხოვრების დაწყების საწინდარი. სოფელში ტაძრების მშენებლობით ქობულეთის სამება დაიბრუნებს თავის დიდებას და მნიშვნელობას, ქობულეთი დაიბრუნებს რწმენაში განმტკიცებულ მრევლს. ასეთი წინაპირობებისთვის საჭიროა საზოგადოებამდე კარგად მივიტანოთ ინიციატივისა და იდეის არსი. პროექტის მიზანია ერთი მხრივ თავი მოუყაროს სოფელ სამების (ქვედა და ზედა სამების) ეკლესიების წარსულს და თანამედროვეობას, მეორე მხრივ კი ქვედა სამების ეკლესიის მშენებლობის პროცესს მისცეს სწორი საორგანიზაციო მიმართულება. ამიტომაც მოკლე დროში საზოგადოება იხილავს საიტს, რომელიც ყველა ადამიანის, ჯგუფისა თუ ინიციატორის საქმიანობას გააერთიანებს, ვებ-გვერდს საგანმანათლებლო ფუნქციაც ექნება და გააშუქებს საეკლესიო თემატიკას.

- კონკრეტულად, რა იქნება ვებ-გვერდის პრიორიტეტული თემები და რითი იქნება გამორჩეული?

- საიტის მიზანია შეიქმნას უნიკალური ქრონიკა სამების ტაძრების წარსულისა და დღევანდელობის შესახებ, როგორც აჭარაში მცხოვრებთ, ასევე აჭარის (ქობულეთის) სტუმრებს საშუალება მისცეს გაეცნონ კუთხის ისტორიულ ადგილებსა და მოილოცონ ახალი ტაძრები. მიმდინარეობს მუშაობა და მკითხველი საიტის მეშვეობით მიიღებს უნიკალურ ინფორმაციას სოფლის ისტორიის, ზედა და ქვედა სამების ეკლესიების წარსულის, ქობულ-

(დასასრული მეოთხე გვერდზე)

ჩ ე მ ი ქ ო ბ უ ლ ე თ ი ა

№25 (148) 2011 წლის 25 ოქტომბერი - 1 ნოემბერი

www.adjaraps.com

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

ჯიდევ ერთი მეგობარი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი და ლიტვის ქალაქი პალანგა დამეგობრდნენ. მემორანდუმს ხელი პალანგას მერმა შარონას ვაიტკუსმა და ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარემ ნიკო ბერაძემ მოაწერეს. მემორანდუმის თანახმად ჩვენს ქალაქებს შორის თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში იგეგმება. პრიორიტეტული კი ტურიზმის სფერო იქნება.

ავარია რკინიგზაზე

ნატანებთან ახლოს სატვირთო მატარებლები ერთმანეთს შეეჯახნენ. შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. სამივე დაცვის პოლიციის თანამშრომელია, რომლებიც შაქრით დატვირთულ სატვირთო მატარებელს აცილებდნენ. მათ მსუბუქი დაზიანებები მიიღეს.

ახალი სკოლა ქობულეთში

3 ოქტომბერს ქობულეთში, ზაურ სოლომონიძის ხელმძღვანელობით ბათუმის სკოლა - ლიცეუმი „მედიანა 2011“-ის ფილიალი გაიხსნა, რომლის დირექტორად პროფესიით ფილოლოგი ლეილა სარჯველაძე დაინიშნა.

სკოლა გაძლიერებული მათემატიკისა და კომაროვის პროგრამის სწავლებით გამოირჩევა. საჭიროების შემთხვევაში აქ სწავლა ინკლუზიური სწავლების პროგრამითაც მიმდინარეობს.

სკოლაში სწავლების საფასური I-II ეტაპზე - 900, ხოლო III ეტაპზე 1000 ლარი ჯდება, ქალბატონი ლეილას განცხადებით სკოლის უმთავრესი მიზანი მოზარდებისთვის საფუძვლიანი განათლების მიცემაა, რასაც კვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი წარმატებით ახერხებს, სკოლის პირველი ნაბიჯებით მშობლებიც და მოსწავლეებიც კმაყოფილნი არიან.

თამთა ღაღაიშვილი, თიკო კონცელიძე

„შემოდგომის ჰარმონია“ - „ჩემი ქობულეთისაგან“

ქუთაისის გიორგი ტყვაცირიას სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მტრედები“ ხელმძღვ. გია ტყვაცირია, ქორეოგრაფი ირაკლი ჭელიძე

ქუთაისის №15 საჯ. სკოლასთან არს. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მტრედები 2“ ხელმძღვ. გია ტყვაცირია, ქორეოგრაფი ირაკლი ქათამაძე

ქ. ნინოწმინდას მუსიკალური სკოლის ანსამბლი „დოლები“ ხელმძღვანელი სარიბეკ ჯარსლიანი

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლის „იბერიას“ სოლისტები (შუაში შაბან მამედოვი)

ქ. თბილისის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის I კურსის სტუდენტი, მომღერალი ბექა ჩიკაშუა

(პირველი გვერდიდან)

ურეკის კულტურის სახლის სცენაზე, კონკურსის მონაწილეებმა არაჩვეულებრივი სანახაობა აჩვენეს, პროგრამა ქობულეთის ჰიმნით ანსამბლმა „ქობულეთმა გახსნა“.

სტუმრებს მიესალმა მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“-ის გენერალური დირექტორი ჯემალ მეგრელიძე და კონკურსის მონაწილე თითოეული კოლექტივის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა, მან ხაზგასმით აღნიშნა ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის დირექტორის ვარტუი მარაბიანის, მარნეულის გამგეობისა და კულტურის ცენტრის, ურეკის კულტურის სახლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა.

პროგრამა ურეკის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის წევრებმა გახსნეს ბრწყინვალედ შესრულებული ცეკვა „ქართულით,“ დარბაზი მქუხარე ოვაციით შეხვდა სცენაზე ანსამბლ „ერისიონის“ ახალგაზრდა თაობის გამოჩენას, რომლებსაც ჟიურიმ შესრულების მანერა და სასცენო აღკაზმულობა მოუწონა, ცეკვას ნინოწმინდელი კარინე არუთიუნიანის მიერ შესრულებული არაჩვეულებრივი სიმღერა ცვლის, კარინე კონკურსის „გამორჩეული შემსრულებლის“ ტიტულის მფლობელი ხდება და ჯერი ქუთაისელებზე მიდგა, ანსამბლი „მტრედები 2-ის“ ცეცხლოვანმა „განდაგანამ“ და „მთიულურმა“ მყისვე დაიპყრო მაყურებლის გული, მათ ჟიურის გულის მოგებაც შეძლეს და წარმატებული კოლექტივის ტიტული მოიპოვეს, მარნეულელებმა კი შესანიშნავად დადგმული „სვანური“ და „მთიულური“ ჩამოგვიტანეს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლ „ენგურის“ ოცდასამი წლის ხელმძღვანელი ლევან ყურავა კონკურსზე ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიულ ქორეოგრაფად აღიარეს, ანსამბლი კი ნომინაციაში „გამორჩეული ქორეოგრაფიული კომპოზიცია - ინტერპრეტაციისთვის“ დააჯილდოვეს.

თბილისის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის სტუდენტს, ინდივიდუალურ შემსრულებელ ბექა ჩიკაშუას პრიზი საუკეთესო სიმღერის შესრულებისთვის გადაეცა, ხოლო გამორჩეული ხალხური ტრადიციული ნიმუშების წარმოჩენისთვის მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლი „იბერია“ დაჯილდოვდა, ფესტივალის აღმოჩენა გახდა ნინოწმინდის მუსიკალურ სკოლასთან არსებული ვაჟთა ანსამბლი „დოლები“, რომელმაც მაყურებლის წინაშე ნამდვილი სანახაობა გამართა, კონკურსის კულმინაციაში კი ქუთაისის გ. ტყვაცირიას სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლ „მტრედების“ მიერ წარმოდგენილი „აფხაზურისა“ და „ყაზბეგურის“ ბრწყინვალე შესრულებამ ანსამბლს გამორჩეულისა და „მონატრებული აფხაზეთის“ ტიტული მოუტანა. შესანიშნავი მომზადება აჩვენა შუახევის მუნიციპალიტეტის ბუთურაულის სკოლასთან არსებულმა ანსამბლმა „იმედმა“ და ნომინაცია „გამორჩეული ხალხური ტრადიციული ნიმუშების წარმოჩენა“ დაიმსახურა.

განსაკუთრებული პრიზი გადაეცა მარნეულელ უსინათლო ბიჭუნას შაბან მამედოვს, რომელსაც მალე ტელეკონკურს „ნიჭიერზეც“ ვიხილავთ, კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა მარნეულის კულტურის ცენტრის დირექტორი ლერი მუმლაძე კი კონკურსზე კარგად მომზადებული კოლექტივების წარმოდგენისთვის დააჯილდოვა.

კონკურსი მონაწილეებს ერთი წლით დაემშვიდობა.

ნინო კვინტრაძე

ქობულეთის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „ქობულეთი“ ხელმძღვანელი თემურ თხილაიშვილი, ლოტბარი ზორბეგ ოქროპირიძე

ანსამბლ „ერისიონის“ მომავალი თაობა, ხელმძღვანელი ზაალ ჭუმბურიძე

მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ენგური“ ხელმძღვანელი ლევან ყურავა

მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებული ხალხური სიმღერის ანსამბლი „იბერია“ ხელმძღვანელი ჯაკი ლობჟანიძე

შუახევის მუნიციპ. სოფ. ბუთურაულის საჯ. სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, ხელმძღვანელი მერაბ მახარაძე

საკონკურსო პროგრამის სრული ვიდეოჩანაწერი ატვირთულია მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“-ის ინტერნეტსაიტზე - განყოფილებაში „ფესტივალები“

ქობულეთის ტაძრების ისტორიის შესახებ ვებ-გვერდი ექნება

(დასასრული)

ეთის სალოცავების შესახებ. ამასთან, განთავსდება ლოცვანი, საეკლესიო კალენდარი, საეკლესიო დღესასწაულები, საქართველოს სიწმინდეები, პატრიარქის ბიოგრაფია და ეპისტოლეები, საკვირაო ქადაგებები. იქნება საინტერესო რუბრიკა „გვპასუხობს მოძღვარი", სადაც მკითხველის სასურველ შეკითხვებს უპასუხებენ მამაოები. მიმდინარეობს ვიდეორგოლზე მუშაობა, რომელიც „ქობულეთის სამების" ისტორიულ და თანამედროვე მნიშვნელობას წარმოაჩენს. სიახლედ დავიტოვოთ ამ საიტის კიდევ სხვა ღირსებები. რაც მთავარია ჩვენი მიზანია ვებ-გვერდის პოპულარიზაცია. ამ მიზნით გვეყოლება არაერთი პარტნიორი ორგანიზაცია და საიტის ბანერების გაცვლა დაგეგმილია სხვა საეკლესიო გვერდებთან, საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, ეპარქიების, მედიასაშუალებების ელექტრონულ გვერდებზე. გვერდი გამორჩეული იქნება თუნდაც იმით, რომ ფაქტობრივად ერთი სოფლის ტაძრების შესახებ მომზადებული საიტი დააკმაყოფილებს მორწმუნე ადამიანის ინტერესს. ჩვენი ჩანაფიქრია ყველა ადამიანს საშუალება ჰქონდეს თავად მიიღოს საიტის პროდუქტიულობაში მონაწილეობა, რადგანაც ეს იქნება ყოველდღიურად განახლებადი ვებ-გვერდი.

- რა ეტაპზეა ქვედა სამებაში ტაძრის მშენებლობის საკითხი?

- შემიძლია გავიხსენო ის ეტაპები, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა სკოლის შენობაში სამლოცველოს გახსნის შემდგომ. კერძოდ, სოფლის მოსახლეობის, ახალგაზრდების ინიციატივით დასუფთავდა ეკლესიის ტერიტორია, ნაეკლესიარზე აღიმართა ჯვარი, ადგილობრივმა მოსახლეობამ ციტრუსის რეალიზაციის პერიოდში პირველი ფინანსები გაიღო ეკლესიის მშენებლობისთვის. ტაძრის მშენებლობის პროცესში ჩაერთო ქობულეთის სამღვდელოება. მიმაჩნია, რომ უაღრესად კეთილშობილური ნაბიჯი გადადგა გოგიტიძეების ოჯახმა, როცა კუთვნილი ნაეკლესიარის ტერიტორია საჩუქრად გადასცა ჩვენს ეპარქიას. ცოტა ხნის წინ, ცენტრალური გზიდან გაიყვანეს ნატაძრალამდე მისასვლელი გზაც. როგორც ვიცი, არსებობს საქველმოქმედო ფონდიც, რომელიც ტაძრის მშენებლობისთვის ფინანსურ შემოწირულობასაც აგროვებს. უნდა გითხრათ, რომ ეკლესიის მშენებლობის იდეას დღემდე განსაკუთრებული აქტიურობით ქომაგობენ ამ სოფელში მცხოვრები თამაზაშვილების, ბლადაძეების, გოგიტიძეების, ხალვაშების, კაიკაციშვილების, კახიძეების, ნოღაიდელების, ბასილაძეების, სხვა გვარის წარმომადგენლები. სწორედ მათ, კოლექტიურად ეკუთვნით სხვადასხვა ინიციატივის განხორციელება, რომელიც შეთანხმებულია ქობულეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის წინამძღოლებთან. მომწონს ის ფაქტი, რომ ამ საქმეში ყველა ლიდერია, ყველას სურს საკუთარი წვლილის შეტანა.

- თქვენ საუბრობდით ნაეკლესიარის ტერიტორიაზე არსებულ მიწისქვეშა ფენებზე და არქეოლოგების დაინტერესებაზე. ასევე, იმის თაობაზე, თუ რა სახის ტაძარი უნდა აშენდეს ამ ადგილას. როგორ გესახებათ ამ საკითხების მომავალი?

- მიმაჩნია, რომ არქეოლოგიური გათხრები აუცილებელია, რადგანაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ისტორიულ ნარკვევს ვამზადებდი, ადგილობრივები გადმომცემდნენ, როგორ უნახავთ მიწის სიღრმეში კერამიკა, ჭურები. არსებობს ცნობები, რომ ნაეკლესიარის ტერიტორიაზე არსებობს საფლავები. დაკარგულია ეკლესიის ზარი, რაც სავარაუდოდ მიწის ფენებითაა დაფარული. დარწმუნებული ვარ, რომ მიწის სიღრმე სხვა ბევრ საიდუმლოს ინახავს. ამიტომაც კანონზომიერია ამ ადგილას არქეოლოგიური გათხრები დაიგეგმოს და სპეციალისტებმა თავიანთი დასკვნები მოამზადონ. მეორე მხრივ, ჩემთვის უცნობია მომავალი ტაძრის მაკეტი, რომელიც ამბობენ, რომ არსებობს. ეკლესიის მშენებლობასთან ერთად ასეთი მაკეტი უნდა გამოქვეყნდეს. ამას, რა თქმა უნდა, კანონიც და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიც მოითხოვს. თავისთავად, მაკეტი შეთანხმებული უნდა იყოს სასულიერო პირებთან, ეპარქიასთან. უნდა იყოს მაკეტში მოცემული ტაძრის აშენების მიზანშეწონილობა შესწავლილი მშენებარე ტერიტორიასთან მიმართებაში, მიმაჩნია, რომ ქვედა სამებაში ერთბაზილიკიანი ტაძარი სავსებით მისაღებია, თუმცა ვერ ვისაუბრებ თემებზე, რომლებიც ჩემს კომპეტენციას სცილდება. შემიძლია მხოლოდ ასეთი სურვილი გამოვთქვა და გითხრათ, რომ თქვენს კითხვაში ორივე საკითხი ექსპერტების და სასულიერო პირების დაკვირვებას მოითხოვს.

- როგორც ვიცით, ახალი საიტის პრეზენტაცია გიორგობის დღესასწაულს დაემთხვევა. რა მხარდაჭერა და გამოხმაურება მოჰყვა „ქობულეთის სამების" პროექტს იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც გააცანით.

- ინიციატივის შესახებ ბევრი ადამიანია ინფორმირებული, განსაკუთრებით საზოგადოების ის წრე, რომელთა მონაწილეობა და მხარდაჭერა მის განხორციელებაში მნიშვნელოვანია. მივმართე ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტს მეუფე დიმიტრის და ვთხოვე მას საეკლესიო საიტის შექმნისთვის ლოცვა-კურთხევა. საინიციატივო ელოდება, რომ მეუფე დაგვლოცავს. ინიციატივის თაობაზე წერილობითი ფორმით ვაცნობე ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში ბატონ ოთარ ხინიკაძეს და ვთხოვე გამხდარიყო საიტის შექმნის ინიციატორთა ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი, რადგანაც მიმაჩნია, რომ როცა რაიმე მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი ქალაქის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ბატონი ოთარი მასში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს. ჩვენ რამდენიმე დღის წინ პარლამენტში შევხვდით ერთმანეთს და ბატონი ოთარი სოლიდარულია წამოწყების მიმართ. განსაკუთრებული მხარდაჭერა ვიგრძენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან. ცალკე აღნიშვნის ღირსია შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ბერაძესთან. მან ინტერესით მოისმინა პროექტი და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ჩვენი საიტის განთავსების სურვილიც დაადასტურა. ამასთან საკრებულოს თავმჯდომარესთან საუბარი შეეხო ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტებასაც. საუბარია ნახევარკილომეტრიან მონაკვეთზე. სოფელს ემსახურება მიკროავტობუსი, ახალი ეკლესიის მოსალოცად როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ტურისტებისთვის (რომლებიც უკვე სტუმრობენ ჩვენს სოფელს) აუცილებელია გამართული გზა. ბატონ ნიკოს ვთხოვე, ეს გარემოება აესახათ 2012 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ასევე საუბარი იყო სოფელში ინფრასტრუქტურის გამართვაზეც. კერძოდ, ეკლესიამდე სამარშრუტო გაჩერების ადგილას მოსაცდელის მშენებლობაზე, რაზედაც დადებითი პასუხი მივიღე. მადლიერებით აღვნიშნავ ხუცუბნის თემის რწმუნებულის, ბატონ ზურაბ ბაჯელიძის მხარდაჭერას, რომელიც გვერდში უდგას ეკლესიის მშენებლობის იდეას. ამასთან, აქტიურ მოლაპარაკებებში ვიმყოფები საიტის მომავალ პარტნიორებთან. ასევე პიროვნებებთან, რომლებსაც შეუძლიათ დადებითი როლი შეასრულონ საიტისა და ეკლესიის მშენებლობის თემის პოპულარიზაციაში. პროექტი, აგრეთვე გავაცანი ქვეყნის ცნობილ მედიაგამოცემებს, რომელთანაც წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობა მაკავშირებს. მათ მოიწონეს ინიციატივა და მხარდაჭერა აღმოთქვეს. კერძოდ, საიტის შექმნის შემდეგ გავცვლით ჩვენს ბანერებს და მედია მოახდენს ეკლესიის მშენებლობის საკითხში ყველა ნაბიჯის გაშუქებას. ეს უკვე მნიშვნელოვანი წარმატებაა.

- შეგიძლიათ გვითხრათ რა იქნება ახალი საიტის მისამართი და სად გაიმართება პრეზენტაცია?

- საიტის მისამართს ამ ეტაპზე ვერ გეტყვით. თუ სად გაიმართება პრეზენტაცია, ამის თაობაზე ვმსჯელობთ მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად.

- თქვენ დღეს საქმიანობთ თბილისში, თუმცა ინარჩუნებთ კონტაქტებს მშობლიურ კუთხესთან. რას საქმიანობთ და როგორია თქვენი გეგმები?

- სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი ქობულეთელობა ყოველთვის პასუხისმგებლობით მახსენებს თავს. პროფესიით იურისტი გახლავართ, საქმიანობით სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატი. ვმუშაობ რამდენიმე უფლებადაცვით ორგანიზაციაში, ერთგან მიწევს ქართული და ევროსასამართლოს საქმის წარმოების შედარებითი ანალიზი, ასევე ვმუშაობ სამართლებრივი თემატიკის მიმომხილველად რამდენიმე სოლიდურ გამოცემასთან. აქტიური მონაწილე ვარ ევროკავშირის, ბიოლის ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტებისა. ვიხსენებ სიამოვნებით იმ პერიოდსაც, როცა რაიონში პირველი მოსწავლეთა გაზეთ „ზვირთის" რედაქტორი უნიჭიერეს ქალბატონ ეთერ ჩხაიძესთან ერთად ვიყავი. გასახსენებელი მართლაც ბევრია, დღეს კი საჭირო დროის განცდა მაწვალებს. ამიტომაც, საჭირო დროს, ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ საჭირო ადგილას. მადლობა თქვენს გაზეთს, რომელმაც ყოველთვის იცის ასეთი საჭიროებისა და ინიციატივის მხარდაჭერა.

სულხან მესხიძე

ხანდაზმულ ქალთა ასოციაციის აწმყო და მომავალი...

(პირველი გვერდიდან)

სოციალურ იზოლაციასა და სოციალურ დაუცველობას.

ყურადსაღებია, რომ სიბერე სულ უფრო „ქალური" მოვლენა ხდება, რაც განპირობებულია ქალების სიცოცხლის მაღალი ხანგძლივობით.

ქალები ცხოვრების მანძილზე ხშირად განიცდიან გენდერულ დისკრიმინაციას, რომლის გავლენა გადადის ხანდაზმულ ასაკში და შემდეგ ხშირად ძლიერდება ასაკობრივი დისკრიმინაციით. შესამჩნევია სიღარიბის „ფემინიზაციაც". ქალები ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ; ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე", რომელიც დააფუძნა საპატიო ქობულეთელმა ქალბატონმა ტატიანა სირაძემ, ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც ხანდაზმულ ქალთა უფლებებს იცავს.

ვესაუბრებით ხანდაზმულ ქალთა ასოციაციის თავჯდომარესა და პროექტ „ხანდაზმულ ქალთა კლუბის" დირექტორს ნანა კალანდაძეს.



- ქალბატონო ნანა, ხანდაზმულ ქალთა ასოციაციამ, მიმდინარე წელს „ქალთა ფონდი საქართველოში" ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „ხანდაზმულ ქალთა კლუბი", რა იყო პროექტის მიზანი და რამდენად კმაყოფილი ხართ მისი განხორციელებით?

- პროექტის მიზანი იყო სოციალურად დაუცველი, მარტოხელა ხანდაზმულ ქალთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება, ასევე გენდერული საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. პროექტი დიდი პროექტის პილოტურ ვარიანტს წარმოადგენდა, რომლის განხორციელებასაც ასოციაცია სამომავლოდ გეგმავს.

„ხანდაზმულ ქალთა კლუბში", რომელიც ასოციაციის ოფისში, აღმაშენებლის 99-ში მდებარეობდა, ხანდაზმულებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მათთვის გამოწერილ ახალ პრესას, ესაუბრათ საკუთარ პრობლემებზე. იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები, ტარდებოდა საქველმოქმედო აქციები, გამოფენა-გაყიდვები, სადაც წარმოდგენილი იყო კლუბის ბენეფიციარების მიერ თექაზე შესრულებული სუვენირები.

- თქვენი ორგანიზაციის სლოგანია „ვაგრძნობინოთ მარტოხელა, უმწეო მოხუცებს, რომ ისინი მარტონი არ არიან", რამდენად გაამართლეთ?

- კლუბში შექმნილი იყო თანაგრძნობისა და თანადგომის ატმოსფერო. უმწეო და სახლს მიჯაჭვულ მარტოხელა მოხუცებს ახალგაზრდა მოხალისეები უწევდნენ საყოფაცხოვრებო დახმარებას, ფსიქოლოგიურ და მორალურ მხარდაჭერას. ხანდაზმულ ქალთა კლუბის საქმიანობამ საშუალება მისცა მარტოხელა მოხუცებს დაეძლიათ შიში და მარტოობის განცდა, გაუჩინა მათ ცხოვრების ხალისი და ინტერესი.

პროექტის ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება იყო გენდერული საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. დაიბეჭდა სტატიები რეგიონულ პრესაში გენდერის თემაზე, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ელენე რუსეცკიმ ჩაატარა სემინარები „გენდერი და ქალთა უფლებები". სემინარებს ესწრებოდნენ სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ქობულეთის რაიონის საზოგადოების წარმომადგენლები. განვიხილავდით გენდერული თანასწორობის სხვადასხვა ასპექტს.

- თქვენ გენდერი ახსენეთ, რას აპირებს თქვენი ასოციაცია გენდერული საკითხების ირგვლივ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით?

- ასოციაცია ქობულეთში სხვადასხვა სახის ღონისძიების გატარებას იწყებს. გენდერული თანასწორობის, გენდერული და ოჯახში ძალადობის საკითხების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის დაგეგმილია აქციები, სემინარები და საინფორმაციო შეხვედრები, გამოქვეყნდება თემატური სტატიები ჟურნალ - გაზეთებში.

ქალაქ მადრიდში გაეროს ორგანიზაციის ასამბლეაზე, მსოფლიო მოსახლეობის დაბერების პრობლემებთან დაკავშირებით მიიღეს პოლიტიკური დეკლარაცია და საერთაშორისო სამოქმედო გეგმა, რომელიც მოითხოვს მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის უზრუნველსაყოფი რეფორმების გატარებას (მათ შორის გენდერულ ჭრილში). სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის სიცოცხლის ხარისხი სიბერეში. მათ ჯანმრთელობაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე აქტიურად უნდა ზრუნავდნენ როგორც კერძო სექტორი და სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

- წარმატებებს გისურვებთ.

ინეზა კეკელიძე

სტომატოლოგიური კლინიკა „უნივერსალ დენტი" აცხადებს ვაკანსიას ექიმის თანამდებობაზე. კლინიკაში ფუნქციონირებს ორთოპედიული კაბინეტი. (კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში).
დაგვიკავშირდით მისამართზე: რუსთაველის ქ. №162 - გ
ტელ: 599 182 397, 591 110 242

მამა კარლო, შვილები ნაზიკო, ნატრული, შვილიშვილები დათო, ბაჩანა, მამუკა, ტატი, მამიდა ნესტანი, ბიძები ჯემალ და ხუსეინ ანთაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნარგულ კარლოს ასული ბზიავა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ნიკო ბერაძეს მამის **რევაზ ბერაძის** გარდაცვალების გამო.

შპს „ტრანსრეგულირების" კოლექტივი თანაუგრძნობს ნიკო ბერაძეს მამის **რევაზ ბერაძის** გარდაცვალების გამო.

ჩვენი ქობულეთი
www.adjaraps.wordpress.com
E-mail:adjaraps@mail.ru
მთ. რედაქტორი
ჯემალ მეგრელიძე
დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S."
რეგისტრაციის № 03-4-111
მის: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ.№13,
ტელ: 26 24 04;
8 790 96 24 04
რეკლამა: 571 01 45 54
სარედაქციო კოლეგია:
ეთერ ჩხაიძე, ლია გრძელიძე, გული ჯიჯავაძე, მარინა შავიშვილი, ნინო მეგრელიძე, სულხან მესხიძე.
გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!
იბეჭდება
შპს „პოლიგრაფ - 2010"-ში,
ქ.ბათუმი,
აშეკილის ქ.№162